ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6610330

ნომერი: AR1980990

თარიღი : 28.07.2023

გაცემის თარიღი : 11.08.2023

გაცნობის თარიღი : 12.08.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წინანდალის ქუჩა, N 9-8 და N9-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ავთანდილი ჯიშკარიანი პ/ნ 60001141720
- ქუთაისი ს.მახვილაძის ქ. N 3 ბ. 18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამედიცინო და ჯანმრთელობის ობიექტები
  - საავადმყოფო

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1980990 (28/07/2023) განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა, N9-8 და N9-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.407) რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, უშუალოდ საპროექტო შენობის ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).
„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების დანართი 1-ის მე-8 პუნქტის შესაბამისად სარეკარეაციო ზონა 2-ში (რზ-2) სამედიცინო ობიექტები არ წარმოადგენს განაშენიანების დასაშვებ სახეობას. ზემოაღნიშნულ ზონაში დასაშვებია პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტის განთავსება, რასაც წარმოდგენილი ობიექტი არ შეესაბამება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, საავადმყოფოს რეკონსტრუქციის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.